

ო გ ა გ ~ ქ რ ქ ბ ნ ი

კ ლ ი ლ თ ვ ი ს ა ,

გ ა დ გ მ ა რ გ მ ი ლ ი დ ა გ ა დ ა პ ე თ ე გ უ ლ ი , რ უ ს უ -
ლ ი დ გ ა ნ მ ა რ თ უ ლ ა თ დ ა გ ა ლ ე პ ე ს ი ლ ი ,

თ ა ვ . რ ა ფ ი ე ლ მ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა გ ა ნ .


გ ა მ ი - ც ე მ უ ლ ი

ი . ვ ა ჩ ნ ა ძ ი ს ა დ ა ზ . ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ .

თ ბ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა ა . ა . მ ი ხ ე ლ ს ო ნ ი ს ა

1878.



• გ ა ვ - გ ა მ ბ ი

კოლექცია,

გადმოწარგვენი და გადაკეთებული, რუსულიდგან
შართულათ და გალეჩილი,

30151

თავ. რაფიელ მრისთავისაგან.

გამო-ცემული

ი. ვაჩნაძე ცენტრალური იუნივერსიტეტისაგან.



სტამბა ა. ა. მიხელსონისა

1878.

Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Января 1877 г.

გუმდვნი ჩემს საუკარელს მე-
ულლას პნეინა თეოდოსიას
და მშავ შისა, პატერლერს
თავდას სამფსონ დავითის მეს
ერისთავს.

თავ. რ. ერისთავი.

მინასიტუაცია.

მნიშვნელობა იგარ-არაკისა არის — დევნა ბოროტ მოქმედებისა და გასწორება ადამიანის მრუდის და უსაქციელო ზნეობისა.

მართულს ლიტერატურას აკლია ამ გვარი იგავ-არაკები. მქონდა რა სახეში განსვენებულის ი. პრილოვისაგან შეკრებილნი საუკეთესო იგავ-არაკები: მზოპოსისა, ლაფონტენისა და სხვათა ფილოსოფოსთა და ჩინებულათ გალექსილნი მისგან რუსულს ენაზედ; აგრეთვე მრავალნი, ესე გვარნი, მისგანვე შეთხმულნი; — ვისარგებლე ამით და გამოვკრიბე მათგან ორმოცი, ისეთი იგავ-არაკი, რომლებიც უფრო დაუახლოვდებოდნენ ჩრდილის ხალხის ნაკლულოვანობის სურათებს და უფრო გამოიხატებოდნენ ქართულს ენაზედ, მჭევრათ და მდაბიოთ. ზოგი მათგანი გადავთარგმნე და ზოგი გადავაკეთე, და ყველა კი გავლექსე, მოსწავლეთა ყრმათათვს, იმ განძრახვით, რომ მათ, სიყმაწვილიდგანვე, შეისწავლონ და გაივარჯიშონ, ადვილათ, მიმოხვრა ქართულის ენისა, დაინახსოვონ მნიშვნელობა იგავ-არაკებისა და დაინერგონ გულში, თუ ვითარ სასაკილოა ადამიანში საკიცხავი ნაკლულოვანება და მრუდი და უსაქციელო ზნეობა, ან, ვითარ საზიზლარია ბოროტული მოქმედება, ბოროტისავე და უხასიათო კაცისა.

თ. რ. ერისთავი.

7 იანვარს 1877 წელს
ობილისი.

ს ა ზ ა ნ დ რ ე ბ ი

მაიმუნმა, დათვმა და თხამ მორწვიეს ვირი,
იშოვნეს დაფი, ქამანჩა, ნაღარა და სტვირი.
საზანდრობა დაპირეს, დასხდნენ ცახცვის ძირსა,
დაუკრეს, დაჰკრეს, გაუსვეს, ჩაჰერეს საყვირსა....
— „მოიცათ, ძმებო — ყვირის თხა — აი, ხათაბალა!..

ჩუმინი დაკვრა რას ივარგებს, სხდომა შეგვეშალა.
დათვო, ბიძიავ, აქ მოდი, გვერდთ მოუჯექ სტვირსა,
ძეც ახლო წამოვჩინჩდები, მხარს დაუჭერ ვირსა...
მაშინ ჩუმინი საზანდრობა გააშტერებს ყველას,
მთა და ბარი აცეკვდება, ტყეც ჭაიწყობს ლხენას”.

— ადგილები შეიცვალეს,,
საკრავი არ შეიწყალეს,
წაუსვეს და წამოუსვეს,
დაჰერეს, დაფს ამოუსვეს,
მაგრამ მათი საზანდრობა,
იყო მხოლოდ ყურთა მტრობა!...

„მოიცათ, ძმებო, — იძახის ვირი,—
აბა რა არის აქ გასაჭირი?..
ასე კი არა... ჩუმინ დავსხდეთ მწკრივათ....
ნუ მოვეპყრობით საქმეს გულ ცივათ....
დაუკრათ მძიმეთ, წყნარათ და წყნარათ
და მაშინ ჰნახავთ“....

ჩამოსხდნენ პწკარათ,
მაგრამ არ იქნა, ვერ ატკბეს სმენა,
შემოერიათ შფოთი და წყენა....
ამ დროს, უეცრათ, გაჩნდა ბულბული...
შესძახეს ყველამ: „აცხონე სული!

მიიღე მცირე ჩამ მოთმინება...

გვსურს საზანდრობა და მოლხინება...

უველა ნაირი გვაქვს საკრავები:

დაფი, ქამანჩა, სტვირი, ნაღარა,

და დაკვრაც ვიცით,—სხდომა აღარა...

ველარ გავართვით ამას თავები....

ზვასწავლე სხდომა“....

მაშინ ბულბულმა,

მიუგო მხეცებს: „უველა სულდგმულმა,

ხამს იქონიოს ცოდნა და გული....

(ასეა, თქმული...)

და უნდა ჰქონდეს ნაზი ყურები....

შამისთოთ კი, თუნდ მწკრივათ დასხდეთ,

ვერ ისაზანდრეთ, თუნდ ჯაფით გაწყდეთ,—

მაინც დარჩებით მხეცნი—ვირები!...“

გველი და გველა.

გაფიმეტებთ, რაც არ გვინდა
მარწათ, სიხარულით გავცემთ,
გამოსადეგს არ ვის მივსცემთ,
გინდა იყოს ძველი წინდა.

ქათმით გამოძლა მელია
და მოიღერა ყელია; ზოგი კიდეც შეინახა, ზედ წათარა ლელია,
თვითონ თივის ძირს წამოწვა, — თავს წამოადგა მგელია.
„ნათლი ჯალაბო, არ გებრალები?..
— მგელმა შესჩივლა მაძლარს მელასა —
შიმშილით ვკვდები... სულ ყველა მგლები
ძრწიან,
დაწრწიან,
ჰშიანთ ყველასა. . .
მწყემსებს არ სძინავს,
ძალლები ლრინავს,
ლამის შიმშილით სული გამვარდეს!..
მიშველე რამე,
ღმერთი იწამე,
გადამარჩინე ამ საშინელს დღეს“...
უცებ წამოხტა მელა ცბიერი
და მოახსენა: — „ვად შენს მელიას!..
როგორ დადიხარ აგრე მშიერი? —
შიმშილი, ვიცი, ძრიელ ძნელია...
ხომ დასუსტდები?.. ჭუჭი აგტკივა...
პი, ნათლიავ მიირთვი თივა!..

თუნდ მთელი ძირი.

ნულარას ჩივი, ნულარცა ტირი”....

მაგრამ ჩუბნ ვიცით,

ძალიან მტკიცეთ,

რომ მგელი თივას ვერ მოინელებს....

(არც უჭამიათ თავის დღეში მგლებს....)

რომ მგელს თივისაგან ასტკივა ენა.

რომ ხორცი უჯობს, თუ გინდა ძვალი,

მაგრამ მელიამ არ გაიხსენა,

იქ შენახული კარგი დედალი!..

ასე, ამ გვარად, მელამ, ნათლია

მოითათბირა, დაიმადლია,

საწყალს გულს დალი არ დააჩნია

და უვახმილო კი გაგზავნა შენა!

გლეხისაცი და ავაზაცი.

ზღეხი კაცი სახლდებოდა... (დასახლება არის მნელი)
წავიდა, ძროხა იყიდა, მასთან ერთი საწველელი
რა დაბრუნდა შინათკენა, ტყე-ტყე წყნარათ მოდიოდა, ნე
აქ ყაჩალი გადმოუდგა, პირს ალ-მური ასდიოდა!
შეუყვირა გლეხსა კაცაა აცვლევინა, საწყალს, ფერი
მერმე მიჰყო და გაცარცვა, სულ წართვა ყველაფერი!
— „რას მემართლები?!... — შეჰყვირა გლეხმა.
პაჩალი ყვირის: „გატრუნე ეგ ხმა“!..
— „რას მემართლები, შე იჯახქორო?!.“
„სუ! თორემ მოგყალ!.. მოძებნე სორო!..“
— „ძლივს მოვაგროვე ორიოდ გროში,
ამ სიძვირეში, საძაგელს დროში
და ძლივს ვიყიდე ეგ ერთი ძროხა...“
„სუ, მეთქი, თორემ, გაგიშრე ხახა!...“
— „ღმრთის გულისათვს!.. შენ ჩემო თავო!..
ისევ სჯობია, რომ ჩამაქვავო!..
მაცი, ხარ, განა გამკრავი მგელი?!.“
„აჟა, დაიჭი, მაშ საწველელი. —
მე ხომ არ მინდა ძროხა საწყელათ:
სუკები მინდა მარტო საჭმელათ,
ტყავი — ქალამნათ, ბეჭი — სათლელათ!..“

პრიჭინა და ჭიანჭველა.

ხტუნია, ლეგა-ჭრიჭინა, მთელი ზაფხული გალობდა,
შეექცეოდა, დახტოდა, მანამ ბუნება სწყალობდა;
ლხინობდა, მყალსა ვერა რამ, ვერ შეუხარა ბეწვია,
უცებ ჟაჲხედა, საბრალომ, ზამთარი წამოეწია!
შემოჭინა ველი, მინდორი, წარვიღნენ დღენი ლხენისა,
ჭრიჭინას გამხარებელნი, გამქარვებელნი სენისა,
როცა მას, ყოველ ჯაგის ძირს, უსრულდებოდა წადილი,
გზათ ჰქონდა სახლი და ბინა, ვახშამი, გინა სადილი!..
ბანქრა ყოველი, დაზამთრდა, ჭრიჭინამ იგრძნო შიმშილი,
აღარა გალობს საბრალო, გამოეცალა სინსილი!..

ან ლხინი რაღათ ეწვევა? —

შიმშილით კუჭი ეწვება!..

დალონებულმა ჭრიჭინამ მიკმართა ჭიანჭველასა
და ეველრება: „ნათლიავ, შენი შვილების ლხენასა,
მომხედე, ხელი გამიწყე, გამათბე, დამაპურეო,
გაზაფხულამდის იოლათ წამილე, მიმსახურეო...“

ამისმა მსმენმა ჭინჭველამ, ჭრიჭინას ჰკითხა წყნარათა:

— „, რას აკეთებდი, დარავ, მთელი ზაფხული ბარათა?...“

„, რას ვაკეთებდი, დობილო?.. სად მქონდა მოცალებანი:

ლილოში ვხტოდი, ვგალობდი, თაეს-ბრუს მახვევდა ძნობანი!...“

— „, შრომის დროს, თუ კი გალობდი — ჭინჭველაშ უთხრა პა-

სუქათ —

მაშ წადი ახლა იცეკვე, — შიმშილისათვის რას სწუხხარ?!..“

პ ვ ა ვ ი დ ა მ ა ლ ა.

ერთხელ ერთს ყვავსა,
შავ-ჭრელსა, აესა,
(რომელიც არის წიწილის მტერი),
სადღაც ეშოვნა ყველის ნაჭერი,
ნისკარტით მაგრა ჩასციებოდა,

იჯდა ხეზედა,
ქენჭეროზედა
და იქ საუზმეს ემზადებოდა..

ამ დროს გამოჩნდა მაცურა მელა,
მოცუნცულებდა აქ ნელა, ნელა....
მელიას ეცა ყველისა სუნი,
შესდგა, გატრუნა, განაბა სული!..
სადაც რომ ყვავი, ზედ წვერზედ ზისა...
თვალს არ აშორებს ამ ყვავს მელია..
(აბა, შიმშილი ასე ძნელია!)

და აქნევს კუდსა ეშმაკურათა....
თავი აჩვენა ყვავსა ძმურათა,
უქადის დიღსა ერთგულებასა
და მოჰყვა, ესრეთ, მისა ქებასა:

,,რა კარგი რამ ზარ, ჩემი დაიავ!
შენ გენაცვალოს ჩემი თავია!

სად დაიბადე აგეთი შენა?
ნეტა ვიცოდე, რამ დაგაშვენა?..
ერთი უყურეთ, რა ლამაზია,
რა ტურფა არის და რა ნაზია!..
შახედეთ ერთი, რა კისერია,
რა მხატვრის კალამის დაუწერია?!.
შახედეთ ერთი, რა ხალებია,

რა თვალებია, რა თვალებია!..
რა ნისკარტია, ვიშ რა ფრთებია,
ვარდნი, იანი, მათთან კრთებიან!..
მაგ შვენებასთან — აღარ უნდა თქმა —
ვიცი გექნება ანგელოსის ხმა!..
ამდენ კეთილთან, თუ მღერაც ხცი, —
მაშ აღარ უნდა აღთქმა და ფიცი, --
ჩუპნ გვეყოლები მფრინველთა მეფალ....
მე ვიცი მხოლოდ ძალლური ყეფა,
მაგრამ შევიძლებ დაფასებასა
ჰარგის გალობის... ვიტყვი ქებასა!..
მაშ მიყავ ერთიჯ დიდი წყალობა,
ვასმინე შენი კარგი გალობა!...“

ამ გვარის ქებით, ჩუპნს სულელს ყვავსა,
თავს-ბრუ დაესხა... არ იღებს ხმასა...
ბოლოს უეცრათ,
(ვგონებ უმეცრათ)
სიხარულითა,
შმინდის გულითა,
შესჩავლა მწარეთ!... გაჰვარდა ყველი!
ამას მელიამ აუსო ხელი
და გააქცია, როგორც ბუმბული...
ჰვავი კი დარჩა ვიზ დალებული!..

ცბიერება და ვირმოთნეობა,
ქველამ იცის რომ მავნებელია,
ვერ გავასწორეთ ჩუპნი ზნეობა,—
გამარჯვებული რჩება მელია!

ერთხელ ლორი შეეთრის დიდი კაცის ეზოშია,
ვეხის-აღვილს წაექექა, ცხვირი ჩაყო ორმოშია,
მიატანა სანაგვექა,
ოხრა დაუწყო სანეხვექა,
მერე ჩაწყა გუბეშია,
მოიტარტლა წუმპეშია,
იქ ხორცი ჭამა დამპალი,
და სულ ერთიან მოსვრილი,
ნეხვით და ლაფით მოსილი,
შინათკენ დაბრუნდა მყრალი!..
ზრაზედ მწყემსი შეეხეხა,
ჰკითხა: — „სად ყოფილხარ, ლორო?..
სად ყოფილხარ ამ ღროს; ბეხავ?..
სად დასვრილხარ, ოჯახ-ქორო?!...“

ლორმა მიუყო: „არ, სადა... ბატონიანთსა გახლდიო!..“
მწყემსმა სთქვა: — „თუ მართალია, შენ აგრე როგორ წახდიო?..
თურმჾ აქვს თვალ-მარგალიტი, ფარჩხს ჩრ უნდა ქებაო,
ხალიჩა, ოქრო და ვერცხლი ავ თვალს არ ენახებაო!..“
• სულ მიუქარავთ! — ლორმა სთქვა — მთელი ეზო დავიარე,
მაღავსხიხრიკე, გადავქელე, გადავსჩიჩქნე, გადავსთხარე,
მაგრამ ძვირფას, განძეულსა, მე იქ ვერსად შავეყარე!...
ხიმდიდრე იქ ვერსად ვნახე, წუმპეთი კი გავიხარე!...“

ვერეისა ფკადრებ მე აშ იგავსა,
თუ არ კრიტიკოსს, — მათგანსაც ავსა....
მე ცხადათ ვხედავ, — და თქმასაც ვბედავ,
— და თქმასაც ვბედავ,

რომ ზოგს კრიტიკოსს ნიჭი არ ახლავს:
მარტო ავს ამჩნევს, კარგს კი ვერ აგნებს....
მაშ მისი გესლი, ჩუტი როგორ მოგვკლავს?
მისი კალამი, ჩუტი როგორ გვავნებს?!

გელა და ზაჲუნი.

— „საით მირბიხარ ნათლი-ჯალაბო?..“

ზაჲუნიმ ჰკითხა მელასა.

„სამარე უნდა დავიალაბო, —

მოვსძულებივარ ყველასა!..

შბათ ამომიღეს, თვალით შემჭამეს,

ცილი მომიღვეს, ქრთამი შემწამეს...

ვილასაც ჭორი მოუროშია..

არ დამაყენეს საჭათმოშია,

სადაც მე გახლდი დიდხანს მსაჯულათ...

ვხედავ დამსასჯეს, — მერე რა რჯულათ?!..

როგორ ვსცდილობდი,

როგორ ვფთხილობდი,

მე იქ დავლიე ჯანი და ლონე,

შჩომა ვერატრით ვერ მოვითონე,

ძილი არ მქონდა, და მოსვენება

და მევე შემხვედა ცილის წამება,

რისხვა, წამება....

იყოს ღმრთის ნება!..

მაგრამ, თუ ცილით კაცი ისჯება,

ვილა გამოვა, მიოხარ, მართალი?..

აბა, სადა სჩანს აქ სამართალი?..

შრთამი ავილო?.. ბაუგიქდი განა?..

ცილი იქნება — და ამისთანა?

მე შენა გკითხავ, გიმოწმებ შენა,

თუ გინახვივარ ქრთამშია, მენა?....

— „არა, გენაცვა — სთქვა ზაზუნიამ —

თუნდ დაიფიცებს მთელი ღუნია,

რომ შენზედ ცული არ გაეგონოსთ...“

ჭორმა რათ უნდა მაშ დაგალონოს?...
შური აგვივსო შენმა ქებამა,
ჩემი შვილების გახარებამა!...
შრთამი რას ჰქვიან?.. ვინ დაიჯერა?..
ვინ ჭორიკანობს, ის პირ-წყლიანი?..
ეს კი მინახამს სამჯერ, ოთხჯერა,
რომ ტუჩი გქონდა ბუმბულიანი!...“

ზოგსა თანამდებობაში,
ვერ მოასწრობ ვერა რაში....
აბაზს ნატრობს, ოხრავს, კვნესის,
შემოგტირის თავის დღეში,
მაგრამ ვიცით,
ვიტყვი ფიცით,
მას არ ჰქონდა ფასი ნემსის,
არც მოუყვა ცოლს მზითეცში....
ბოლოს, ვხედავთ: სახლს იშენებს,
მთას ყიდულობს, ბალს იშვენებს,
კარგათა სჭამს, კარგათა ჰსვამს,
ჯოგებს იჩენს და დუქნებს სდგამს!..
საქმით ქრთამს ვერ დაუმტკიცებ, რადგან პლუტია-ჰქვიანი;
თვალწინ კი გიდვას იმისი ტუჩები ბუმბულიანი!...

გერიკაცი და მოჯამაზინა.

ბერი კაცი მოდიოდა ტყიდგან, სოფლათ, შინა,
მოჯამაგირე თან ახლდა მოუძღვდა წინა.
ამათ დათვი შეეხეხა, ეცა, ბერკაცს, მრეშა,
საცოდავი წააჭკივა, ამოიდო ქვეშა!

— „არიქა, თეღო, მიშველე! — იძახის დათია —
ნუ მოლალატებ, გენაცვა, მოკალი დათვია!...“
მოჯამაგირემ შემართა ალმასივით ცული,
ასეთი სტკიცა დათვს შუბლში, რომ განაბა სული!..
მერე ხანჯალი გაიძრო, უფუკა ათგანა
დათია გადაარჩინა, ხელი გადიბანა...“

დათია რაკი წამოდგა, მოსდგა თეღუასა:
ლანძლავს... — თეღუა ჩაფიქრდა და იქექავს თმასა! —
— „აბა, რა ჰქენი, შე ვირო, რათ აიგდე თავი?
მითხარ, რაზედ წამიხდინე მშვენიერი ტყავი?!.“

ლომი შილადობაში.

ლომი და მშეღი, ძალლი და მელა,
მეზობლათ იდგნენ ესენი ყველა.

შეკრეს პირობა:

რაც დაიჭირონ,

მოინადირონ,

სწორათ გაყონ, რომ იგულშვირობა.

არ შეუჩიდეთ ერთმანერთშია... სადა

არ ვიცი, რითა,

როგორ, რა გზითა,

მელ ირემი იგდო ხელშია...

ამხ თავებთან გაგზავნა კაცი

და მოიწვია, გაიყონ აწი.

შოგროვდნენ ყველა, მობრძანდა ლომი,

ზაშადია კლანჭი, თვთოქოს აქვს ოძი,

ნანადირევსა გაუსო ხელი,—

გაღიჯა ოთხათ... უურებს მგელი...

, მს მე მერგება პირობის ძალით... ,

— წარმოსთქვა ლომმა თვალის ბრიალით,—

მს მხვდა, როგორც ლომს... არ ვიღებ მალვით...

მსეც მე შემხვდა, როგორც ძლიერ ბოროტს;

ამ ნაჭრისაკენ კი, ვინც წამოჰყობს ტოტს,

ვაჟ იმის დღეს! — დაუბნევ ტვინსა! —

იმაზედ ვიყრი სულყველას. ჟინსა!... „

3015-1



ვირი და ბულგული

მუტრუკი შეჰქ
და უთხრა: „ზოგი სულდგმულის,
არვის უქებენ ხასია,

რძრვის უქებენ გალობას, გულმრწვერის ცემასაც.
მეც გამაგონებ ძამიაჭ,
არც მე ვარ მღერის ხამია;
მეც დავათასებ შენს ცოდნას,—
არ ავიკიდებ შენს ცოდნა!...“

მოპყვა ბულბული: დაჰკივდია, დასტურინა, ზუაზრიალია;
ხან მალლა ფარდში ასწია, ხან წენარათ ჩაწერიალია;
ხან დაუყეფა, ბედკრულმა, ხან ნაზათ ჩაუკანა,
ხან ძირს დაუშო ბუტბუტით, გაჩუმდა, შეიქაქანა!...

ქვლავ ტკბილი ენა,
არ დაუყენა,—

შორს მოისმოდა ბულბულის სტვენა:

ხან ამაყი, ზავთიანი, ხან წმინდა, ვიო ხალიაშური,
ხან გლოვის ხმათ, სევდიანი, ხან ტკბილი და სამური!

ტყეც ბანს აძლევდა,
სიო შეჩერდა,

ქველა მფრინვლებმა გატრუნეს სული,

მწყემსიც კი თროვდა
და უცინოდა,

ვისთვისაც იმას უძგერდა გული!

ვირმა ჩალუნა თავი, დაბლა, ძირს...

მეტი რა უნდა მოვსოხოვოთ, ჩუცნ, ვირს?..)

პოლოს მან უთხრა ავაყათ ბულბულს:

„მე გიგდებდი ყურს!..“

შენი ქება მსურს...

შენი გალობა—რომ ვსთქვათ—არა მწყინს!..

პილენი მომგვრის ძილს...

ମାଘରାତି, ପଦ୍ମନାଭ ପାତ୍ର ଅକ୍ଷେତ୍ରନାଥ ପାତ୍ର

ପ୍ରାଚୀ ରୂପ, କିମ୍ବା କିମ୍ବା ଦେଖିବାକୁ ହେଲାନ୍ତିରେ -

၄၁၈ လာဂျော်စုံအဲ၊ ၆၂၆ မာမြိုင်စာရွက်၊

ଅଗ୍ରାମେନ୍ଦ୍ରଲୀ, ପାତିଲାହାରୀ ଜିଲ୍ଲାକୁଟିଆ ରୋଡ଼

დაგვაშვენებდი, თუ ამ აქცია არ არის არა ა. ა.

“შეიქნებოდი შენც იმისთანა!..”

— କୁରୁତେ ପାଇଲୁଗେ ମେଳିଟିଏୟା

Աերա մոտած ոյնու զադուկանցա ամօս զամցոնց ծովով ծովով.

ღმერთო, ღმერთო, აგვაცილე ჩუბნც ამ ნაირი მსაჯული!...

ე ე ლ ა დ ა ჰ ი ნ ი .

, , საიდგან მოხვალ, თავფქვილავ?

— მელა ჰყითხავდა მუტრუკსა:

ალარ ვმზერ შენსა ფუნდრუკსა:

რათ დაგვივიწყე დიდყბილავ?

— „რა ვქნა ჩემო ნათლის დედავ,

— მან მიუგო მელიასა —

ლომთან ვიყავ ამ დილასა;

დავგვიანდი, მეცა ვხედავ...“

, , ლომთანაონ — ჰყითხა შელამ —

განა იქაც მისვლას ჰბედავ?..

ოუ აიგდეთ თავი უველამ!..

სითამამე გაქვს ეგ ზომი?

საშენოთაც გახდა ლომი?...“

— „რასა ბრძანებ ნათლის დედავ? —

სამჯერ ვნახე ზედიზედა...“

რილას ლომი, რილას ციცა?..

დაგარწმუნებ, ლმერთსა ვფიცავ,

ალარა აქვს ლომსა ძალა,

გაუთხელდა იმას მალა!..

პდრევ რომ დაიყვირებდა, — მთა დაიწყებდა ზანზარსა,

გავრბოდი იმ მხეცისაგან, მომაყოლებდა კანკალსა...“

ახლა კი გდია, როგორც რომ მორი,

მოხუცებული, ულონო მძოვრი!..“

მისი არა მხეცს არ ეშინიან,

სამაგიეროს ახლა უხდიან:

ზოგი კბენითა,

ზოგი რქენითა!..“

,, თუ აგრე არის, — პკითხა შელიამ —
შენგნით ხომ ლომის წყენა! ძნელია? ..

სხვების სიბრიყეს როცა ჰქედავდი,

შენ მაინც ვერას გაუბედავდი? ...“

— „ რა ნაკლები ვარ მე მითომ სხვაზე? ..

— წარმოსთქვა ვირმა ოხუნჯურ ხმაზედ —

ორიოდ წიხლი მეც უთავაზე...“

—

მანამ გაქვს ძალა, მანამ გაქვს ლონე,

სუსტნი არიან შიშისა მქონე,

და თუ დეეცი, ყველაზე უწინ, წიხლებს დაგაზელს სუსტი —
უსულო,

ყველა მოგდგება და დაგიბრიყვებს, ცულიანი და მასთან უცუ-
ლო! ...



გლეხიქაცი და ძაღლი.

ერთსა გლეხსა, მომჭირნესა, ქონება რომ გაუდიდდა,
იქირავა კარგი ძალლი და ამ გვარათ გაურიგდა.

პური აცხოს,

ბოსტანი რწყოს

და სახლ-კარიც მან დაიცოს.

იქნება ბრძანოთ: „ამის დამწერსა, ნეტა რა და რა მოუჩინახამსო? —
ბოსტანის მორწყვა და პურის ცხობა ძალლისაგან, აბა, ვის უ-
ნახამსო?

ვსთქვათ ძალლმა შესძლოს,
უაროს ეზოს,

სხვა საქმისა კი, რა გაეგება?...“

თავი ვიმართლო, მომეცით ნება...“

მეც აგრე ვსჯიდი უწინ, ეგება,

მაგრამ შავიტყე, რომ ბროლიასა,

(ძალლებში ნაქებს, პლუტს და ჰეკვიანსა),

სამივ ხელობა თავზედ უდვია...“

(ალისთვის, ვხედავ, რომ ეს ცუდია), —

ბროლიას სამივ თანამდებობა გლეხიკაცისგან მიჰნიჭებია

და ჯამაგირი სამივ კაცისა, ამისთვის, მარტო, ამ ძალლს ჰრგებია!...“

შველა ფერი ძრიელ კარგი!

— მან იტვირთა მძიმე ბარგი,

მაგრამ გლეხი, რალს საქმობს?

რასა შვრება, ნეტა, ამ დროს?..

— იმან ცხენი მოიმზადა —

და ხატობაში წაბრძანდა!

ამით საქმე გაუბრუნდდა...

ხატობიდამ რომ მობრუნდა,

ნეტა იცოდეთ რა ნახა... .

(გაშტერდა, დაალო ხახა!..)

არსად პური გამომცხვარი,
სულ გაუქურდავთ სახლ-კარი,
ან ბოსტანი სადღა არი! ..

შემოიკრა თავში ხელი,
ბროლიას მიჰყარდა, ხელი:
— „ძალლო, რათ გამომჭერ ყელი?..
მე რა რიგათ შავევედრე..
სახლი როგორ დამახვედრე?!. .

მაშინ ძალლმა უპასუხა,

რაკი ნახა აღა სწუხა:

, „პურის ცხობა არ ვიჩქარე, რადგან ბალს უჭირდა წყალი,
დამიღამდა და ვერ მოვრწყე, — რათ იქნება ჩემი ბრალი?..
შურდებისაც მეშინოდა, სახლზედ უფრო მქონდა თვალი,
მაგრამ სახლიც გამიცარცვეს, — რას ვიქმოდი მე საწყალი? —
რადგან იმ ღროს დავაპირე პურის ცხობა დიდი ძალის!... ”

კატა და გულგული.

ქატა ბულბულს მიეპარა, ისკუპა და დაიჭირა,
მას დაუწყო ალერსები: (თან კლანჭები გაუჭირა.)

„სუ, ჩიტუნიავ,

ნუ გეშინიან!

მე არას გერჩი თავის დლეშია,
არა გიშავს რა, შენ, ჩემს ხელშია;

არა მსურს შენი ტანჯვა და ცემა,

არც შეგჭამ, ჩემი კნუტების მზემა! —

ოლონდ იმლერე... ზიქებენ სტვენას...

პირველს მგალობლებს გიდრიან ენას.

მე მიქო მელამ. შენი გალობა;

მეც გამაგონე, მიყავ წყალობა! ..

შენი გულისა, კავენის ში

შენი სულისა! ..

შენ ხმა თურმე გაქვს ისეთი ტკბილი,

რომ კაცს მოუკა ქრეოლა და ძილი...

მოჰყე გენაცვა! .. რაღასა ნაზობ? და ზინ?

რაღას წრიპინებ და არ მალხაზობ? ..

მაგრამ ბულბული თრთოდა, კუთავდა,

ქატის კლანჭებში ძლივსლა სუნთქავდა! ..

კალარ გაანძრევ, მაშ, მაგ ენასა? ..

— განიმეორა ხელ ახლათ ციცამ, —

ბრიყვი ყოფილხარ გამჩენსა ვფიცამ! ..

მაგით ატყუებ შენ ქვეყანასა? ..

მარტო წრიპინი, მარტო ჩხავილი? ..

ხომ კნუტებისაც მძაგს მე კნავილი!

დავრჩი მელასგან მოკრუებული —

და ამან უფრო მომიკლა გული! ..

ვხედავ სტვენაში არ ხარ ვარჯიში,

შენ გალობისა არ მოგდგამს ჯიში! ..

რახან არ იცი მღერა საჩემო, მარტო

ვნახოთ როგორი გაქვს მაინც გემო! ..

სთქვა და გამოხრა ჩვენი ბულბული,

ნიშნათლა დაჭრია მარტო ბუმბული! ..

Օ Ե Ր Ա Ծ Ո Ւ Տ Ա Հ Ա .

,, մալու սար ոյսա՞...“

— „ մշշչյութիօն “

,, եցիւ հա նաեց մոհամլուղթիօն? ...“

— „ հա ահա զնաեց ... հա զոտերա, վալու? ...“

Ան ռոցոր լինդա համոցանդալու? ...“

ծյոնեծա հա ահ զայիցնիօն! ...“

Թզսո մալա, չյել, դայիցնիօն! ...“

հա մեցութիօն, հա մորոնցութիօն,

ծյոն, չյելու, փոճնչութիօն! —

Սեցա ձա սեցա զյորատ մռանատեցեն,

Ոյութիօն մոշամատածեն. . . .“

Ցոցո կյանմանքը էցացը, Ցոցո ոգունդը. . . .“

Իոմ ցալաքեցու չյելութիօն գյոնդը, —

Ցոցո լուրջիօն, փրելու ձա մացո,

Ցոցո վարութիօն ցութ վիճութացո,

Ցոցս չյել ապրու տյոտրու նալութիօն!“

,, և անլու ահ նաեց? ... Թություն լցուա...“

— „ Շո, ձամուցա արու տալութիօն! —

և անլու կո ալար մշմոմինցըն!“

გველი და პრავი.

ძლიერზედ ხშირათ ამბობენ, მძლავრიაო და ავია,

ზღაპრათაც ასე იტყვიან

და ჩულნ ამ გვარათ გვიხსნიან,

შიდომც უძლური ძლიერთან მარადის დამნაშავეა!..

პაპანებაში, სიცხეში,

ჩანჩქარის ახლო, დიდს ტყეში

პრავი ჩავიდა წყალზედა,

(მასა სწყუროდა ძალზედა)

და მანამ იქ წყალს დალევდა,

გამოჩნდა მგელი,

ცხვართ სისხლის მსმელი

(ოურმე მახლობლათ დაწანწალებდა....)

და რა იხილა ბატკანი,

სულ აუქრფოლდა მას ტანი!

მშიერმა მგელმა კბილები გალესა, გააკრაჭუნა,

გადმოხტა ლაწილუწითა, ფოთლები შეაფაჩუნა

და რომ მას ქცევა ორ ვინ უძრახს,

ჰბედავს კრავს ასე შემოუძახოს:

,,შენ რას მიჰქარავ, რომ მე წყალს მიმდვრევ?

მაგისთვს, იცი?... ზვერდებს დაგამტვრევ!“

მიუგო კრავმა,

მშვიდმა და წყნარმა:

— „მა ძლიერო და დიდებულო,

ჩემო ბატონო, უველგან ქებულო!..

რაზედ მიწყრებით?

რას მემართლებით?

თქუცნა ხართ ზევით,
მე წყალს ვსვამ ქვევით,
თქუცნგან მალვითა,
თრთოლვით, კრძალვითა
და თქუცნის შიშით....

— ას ნაბიჯს დაბლა მე რას დაგიშლით?!...“

,,მაშ, მენა ესტყუი?!

სიცრუეს ვლმუი?...“

ჰკითხა კრავს მგელმა,
მრისხანემ, ხელმა....

დალო ხახა

და შეუძახა:

,,ჰედავთ ამ ყბედსა?.

პუტანია წერას და ბედსა!..

ზაგიგონიათ?.. ჰედავთ ამ ბრიყეს კრავს?..

ამ თავხედობას, როგორ მიბედავს?!

ჰერ ძველიც მახსოვს შენგან ის წყენა,

შარშან წინ, აქ, რომ, გამლანძლე, შენა!...“

—,,შარშწინაო?!.. ენაა მტრისა....

მე ხომ არცყი ვარ ჰერ ერთი წლისა?...“

,,მაშ ძმა თუ იყო შენი, ან დედა,

ან ბიძაშვილი, ან ნათლიდედა?...“

—,,მე ობოლი ვარ... მე ძმა არა მყავს?..“

,,რა მენალვლება!.. შველა შენა გგავს!...

თქუცნ სულყველანი, თქუცნი მწყემსები,

თქუცნი ქოფკები—ძალლის თესლები—

სცდილობთ შემახათ თქუცნი გესლები,

ბულს მკრათ მახვილი, როგორც ნემსები,

მაგრამ მათს ცოდვას შენ გაზღვევინებ?...“

—,,სხვის ცოდვის ულელს რათ მაწევინებ?..

ერთი მიბრძანე: რა დავაშავე?...

ოხ, ღმერთო, ღმერთო, რა მეშინიან!...“

,,გაჩუმდი, კმარა!.. მე გავათავე....

— შენ ხარ შემცოდე მით, რომ მე მშიან!...“

რა კი ესა სთჭვა, კრავს სტაცა ხელი

და იმს ხორცით გამოძლა მგელი!...“

მაგალი და მარგალიტი.

მამალი ნაგავსა ჰქექდა და იპოვდ შარგალიტი,
სთქვა: „რა უბედური ვარო, მჯობიზო ყველა ჩიტი...“

ან ამ მძიეს რაზედ აქებენ?

ამით ხომ თავს არ იკვებენ?

ან ეინ დასდო დიდი ფასი?..

თუნდა რომ მომცენ ათასი,

მას მირჩევნია დამბალი,

პარგი თავთუხის ხორბალი!..“

რა უყო მე ამ მარგალიტს, ჩემთვს ამაოს, ფუჭისაო.

მე ხომ ეს ვერ დამამშვენებს და ვერც გამიძღობს კუჭისაო...“

უმეცარნიც აგრე სჯიან:

ზასი რისაც არ იციან,

ქველა ფუჭისათ მიაჩინიათ!

გლეხი-კაცი და მელა.

გლეხი-კაცი მოდიოდა, შემოეყარა მელასა,
თავი დაუკრა, დაუწყო მუსაიფი კუდგრძელასა:

,,ნათლის დედა ადლეგრძელოს!

ღმერთმა ჭკვაზედ დააყენოს!...

სად ყოფილხარ, რას დადიხარ, რას სუნსულებ, შე გულკვდარო?
შურდობისთვის სული მიგდის, როდამდის უნდა იპარო?..

მებრალები, მეწყალები, სწორეთ მე და ჩემმა სულმა!..

მართალს გეტყვი მე პირშია, თუნდ გამლანძლო გულმოსულმა;
შენს ხელობას სირცხვილი სდევს, საფრთხეა და არ აქვს ხვავი,

მასთან ცოდო დიდი აძევს, ყველასაგან საკიცხავი;

მუდამ ფრთხილობ არ დასტოვო, საჭათმოში, მრეში ტყავი,
უშიშრათაც სადილ-ვახშამს, ხომ ვერა სჭამ, შენ, ბეჩავი!..

ამ ტანჯვათ კი ლირს ყველა ქათმები?...“

— „რა ვქნა, ნათლიავ,— მიუგო მელამ—

ზაგიგონია ტყუილი ხმები...“

შბათ ამომილო, ვხედავ, სულყველამ...

ჩემი სიმართლე შენ რომ იცოდე,

ჩემის ცოდვისგან უნდა იწოდე!..

ობლების ყოლა და გაჭირვება, ღმერთს გეფიცები, ძრიელ ძნე-
ლია!..

რა ვქნა, მე ვხედავ, რომ ქურდობაზედ, უნდა ავიღო ეხლა
— მიუგო გლეხმა, წმინდის გულითა—

მე პურს ვიშოვნი სამართლიანსა,--

არც გაყიდვინებ ამას ფულითა...“

— თუ საჭმეს იჭერ შენ მადლიანსა,

— მიუგო გლეხმა, წმინდის გულითა—

მე პურს ვიშოვნი სამართლიანსა,--

არც გაყიდვინებ ამას ფულითა...“

მოდი ჩემთანა,—

უცხო ხარ განა?..

შენ ჩაგაბარებ მე საქათმოსა,

თაგვებს ბევრს გაჭმევ, მაწონს და დოსა—

და ივორავე, ჩემო მელიავ,

როგორც ერბოში კარგი ყველია!...“

შეკრეს პირობა,

რომ გულ-ძვირობა,

არ შემოსვლოდათ ნათლიერებსა,

არ გაეკიცხათ მეჭორეებსა.—

უჯამაგიროთ დადგა მელია... .

(ან ჯამაგირი რა სათქმელია?..)

მელამ დაიწყო ყარაულობა,

სცდილობს აჩვენოს გლეხს ერთგულობა... .

გასუქდა მელა,

(ჰკვირობს სულყველა..)

მაგრამ სიმართლე ვერ მოიხელა!..

დადგა გულზედ მას ლუკმა წმინდა,—

მოუპარავი ლუკმა მოსწყინდა!—

და გაათავა მირ სამსახური,

რომ, ერთს ბნელს ლამეს; ჩუცნი მსახური,

ადგა, მოიხმო ტყიდგან მელები

და ყველა ქათმებს დასჭრა ყელები!..

სინიღისის მექონესა, მუდამ ავი საქმე სძულსა,

, „ავსა კაცსა, ავი სიტყვა, ურჩეინია სულსა, გულსა!“

შურდს ქურდობა ურჩევნია, მამის სულსა, დედის სულსა,

თუნდა მილიონი მისცე, არ მოიშლის ის სუნსულსა!..

გლეხი და მღინარე.

ზლეხნი ტიროდნენ,
ასე სჩიოდნენ,
მოთმინებიდგან გამოსულები:
„აღარ შეგვრჩაო, სწორეთ სულები...
რაკი რომ ცოტას წამოიწვიმებს,
ხევები, ფშები
და ღელოები
ადიდდებიან,
აღელდებიან,
მოაგროებენ უშველებელ ქნებს...
ჩანთქეს მათ ჩუბნი საცხოვრებელი:
ქრუხი, ქათამი-კვერცხის მდებელი,
ჟანა, წისქვილი და საქონელი...
წავიდეთ ჩუბნ, იქ, მავედრებელი,
რა მდინარეშიც ერთვიან ფშები,
ცეტი ხევები და ღელოები...
დიდი მდინარე წყნარია მშვიდი,
დარბაისელი, ძლიერი, დიდი,
ზედ ქალაქებიც სდგას რამდენია,
მისგან აკლება არ ვის ჰსმენია...
უთოოთ მათაც ის დამშვიდებს....“

მივიღნენ წყალთან იხდიან ქუდებს...
უცებ გლეხებმა, იცით რა ნახეს? —
მათი ქონება იმ პატარა წყლებს,
დიდ მდინარესთან მიჰქონდათ სულა!.
მაშინ გლეხებმა წამოიძახეს:
„ჩუბნი ამაგი სულ დაკარგულა!..“

ან სამართალი აქ სად უნდა გვხვდეს!..
დიღიც ყოფილა მცირის ჭკუაზედ,
რადგან უმცროსებს უყოფს შუაზედ,
რაც რომ მას ცოდვით შეუძენია!..
ასე ყოფილა მათი თვესება
და სამართალი არ გველირსება,
თუნდ აქ გავჩერდეთ ჩული დღენია!...

~~~~~

### მგელი და მაჟავავები.

მგელი საითლაც მოძუნძულებდა, ცხვრის ფარეხისკენ ჩამოირბინა,  
შაუჭვრიტინა მემცვარეებსა, საღაც რომ იმათ ჰქონოდათ ბინა;  
შეხედა, კარგი, დიდი, ბატკანი, დაუკლავთ, მწვადებს აშიშენებენ,  
ძოლებს კი, იქვე, ცხვირი მიწაში წაუყვიათ და, ჰგავს, იძინებენ....

ამის მნახველმა,  
წარმოსთქვა მგელმა,  
ზაჯავრებულმა, გულამოსკვნილმა:  
„მხლა ხომ თავი წაგართოთ ძილმა,  
მე რომ ეგ მექმნა—მომეწეოდირთ,  
ძალლი და კაცი დამესეოდით,  
ცას და ქვეყანას ერთმანერთს ჰკრავდით,  
დამჯენჯდით, მცემდით, თოფით მომკლავდით!...“

## გელა და ურბენი.

ვენახში მელამ შაჰედა, ყურძენი წითლათ ღუოდა,  
ბუზები შემოპევეოდა, ფუტკარიც იქვე ბზუოდა,  
აუარ-ჩამოუარა, ვერ შესწვდა საწყალობელი,  
სთქვა: „მკვახეაო სრულებით, არ წამიწყდება მშობელი!..

— არცა სჯობს ეგ სხვა ხილებსა,—  
მაშინვე მომჭრის კბილებსა!...“

## გელი, კიბო და თევზი.

ამხანაგებში თუ არა სუფეეს სიყვარული და ჭრული თანხმობა,  
იმათი საქმე უკულმა წავა, მაშინ იქნება მათი დამხობა!

თევზმა, გელმა და კიბომა,  
შირა აილეს ჭალიან ბლომა:  
უნდა წაელოთ ბარგი მთებშია,  
თვითონ შეებნენ შიგ ურმებშია!  
თევზი იზიდავს მდინარისკენა,  
კიბო უკან სწევს, გელი — ცისკენა...  
არ იქნა საქმე ვერ მოაგვარეს,  
ურმები ცოტაც ვერ გააგორეს...

თანხმობის გარდა, ყველა საქმეში, უნდა შესწევდეს კაცს ცო-  
ტა ბელი,  
აქ კი — არ ვიცი — დანაშაული, რომელი იყო: კიბო, თუ გელი?..  
— დარჩა ეს საქმე ვაუგებარი —  
და დღესაც ბარგი, ისევ იქ არი!...

## გლეხი-ქაცი და გველი.

ერთს გლეხს შეუძვრა შიგ სახლში გველი,  
სთხოვა მტრობისგან აქლო ხელი.

„დავმეგობრდეთო, — ეუბნებოდა —

შხლა, სხვა ვარო, — ეფიცებოდა —

ამ ზაფხულს ტყავი, სულ გავიძერო...“

გლეხმა მიუგო: — „შე ქვეყნის მტერო,

გინდა მაცდინო და დამაჯერო?!”

გველი ჭრელობას,

გველი-გველობას,

სულ არ მოიშლის თავის დღეშია,

და თუ ვერ დასდექ შენ, შენს ქერქშია,

ვერც შე გამიტან მჯგობრებშია!..

ვხედავ რომ ტყავი შენ გაქვს ახალი,

გული კი, ისევ, მტრული და მყრალი!...“

ამ სიტყვით კეტი მოიგდო ხელსა

და თავში სდრუზა შხამიან გველსა!

ამ გლეხმა ისევ ის ამჯობინა,

რომ გველს იქ სული გააფრთხობინა!..

## გველი და ჭერო.

ჩუცნ ვიცით მოსდგამთ, სიხარბე მგლებსა... ღ  
მგელი როცა სჭამს, არ არჩევს ძვლებსა... ღ  
ერთს მგელს დაადგა ძვალი, შიგ ყელში,  
უწყალოთ ეგდო უდაბურს ველში,

ველარც ხვნეშოდა,

ველარც კვნესოდა, ღ  
აბრიალებდა ცეცხლივით თვალებს,  
პედებოდა, მაგრამ,—ვინ შეიბრალებს!..

ამის ბედზედა გამოჩნდა წერო... ღ  
მგელმა ანიშნა: „არ დაგიჭერო,  
შემიბრალეო, შემიწყალეო,  
მოდი, მიშველე, მომეხმარეო,  
თორემ სიკვდილი მომდგა მწარეო!....“

წერო მიჰვარდა საწყალობელსა,  
შელში ნისკარტი ჩაუყო მგელსა,  
(რომელიც ეგდო, როგორც რომ მოვრალი),  
იხმარა ხერხი, ღონეც ღირდალი.  
და ამოართო ვეება ძვალი!..  
მაშინ წერომა არ დააყოვნა,  
საექიმოსი, ცოტა რამ თხოვნა,  
მორიდებითა,  
მოწიწებითა...

„როგორ მიბედავ?— იძახის მგელი, — ღ  
გადაირჩინე თავი სულელი და და და და  
და მით არც კი ხარ შენ მაღლობელი?!.  
ერთი შახედეთ ამ ყლაპიასა!

კისერი უგავს მიწის ჭიათა...

წალი აქედგან! ნუ მიშფოთებ გულს!..

არ ჩამივარდე მეორეთ ხელში,

თორემ შენს ძვლებს კი, კისერს და ბუმბულს,

არ გავაჩერებ, იცოდე ყელში!...“

ვირი და გლეხი.

გლეხმა ვირი ჩააყენა ყარაულათ ბოსტანშია,

ვირი გასუქდა ძალიან, ალარ ეტევა კანშია,

მებალობს, გარბის, გამორბის, ძილი არ მოსდის თვალშია,

ფრთხილობს და აფრთხობს მფრინვლებსა, მიერეკება კარშია!..

ალის ქონებას — ბოსტნეულს ცხვირს არ დაადებს არა სჭამს,  
არც სხვაზედ ჰყიდის, არც სხვას ჰზღნობს, არც იღებს ჯილ-  
დოს და არც ქრთამს.

მაგრამ ბოსტანს რა მოიყვანს,

(მოსავალს პირი არ უჩანს),

რადგან ვირმა სირბილითა, ბოსტნეული სულ გაქელა,

ამოაგდო კიტრი, ნესვი და კომბოსტო გაათხელა!..

გლეხმა კაცმა იზარალა, სისუსტით და სირბილითა,

ვირმა კი ის ამოაგდო: ერთგულობით — სირბილითა!..

ბოლოს გლეხმა შეუძახა: „მე შენ არ შეგაბერდები...“

შილო კეტი და ვირსა, სულ აუჭრელა გვერდები!..

მეზობლები იძახოდნენ: „ვირს კარგა მოუვიდაო,

თუ ჰკვა არ მიუწვდებოდა, სხვის ბოსტანს რაზედ სცვიდაო?!.“

გინდ ჩამომართოთ ფიციცა,  
ვირს, არ ვინ ჰსარჩლობს ჩულნგანი,

მაგრამ შემცდარა ისიცა,

ვინც ფირს მიანდო ბოსტანი!

გ მ ე ლ ი დ ა ჭ ა ტ ა.

მ გ ე ლ მ ა . ს ი ფ ე ლ შ ი შ ე მ რ ი რ ბ ი ნ ა , —  
(შ კ ა ნ მ ო ს დ ე ვ დ ნ ე ნ მ ო ნ ა დ ი რ ე ბ ი ) —

ჰ ს უ რ დ ა ე შ მ ი ვ ნ ა მ ა გ ა რ ი ბ ი ნ ა

დ ა მ ა თ გ ა ნ თ ა ვ ი გ ა დ ა ე რ ჩ ი ნ ა .

შ ე მ რ ა პ ხ ვ დ ა კ ა ტ ა ... „ მ ი შ ვ ე ლ ე თ ა ღ ,

— შ ე ს ხ ა ხ ი ს მ გ ე ლ ი ა ნ ა ტ ი რ ე ბ ი : —

ს ა დ დ ა ვ ი მ ა ლ ი ღ .. . „ — „ შ ე ნ ჩ ე მ რ დ ა ღ ! .. .

— მ ი უ გ ო კ ა ტ ა მ — ნ უ ს წ უ ხ ხ ა რ ძ მ ა ღ .

ა გ ე რ ტ ი მ რ თ ე ... მ ი დ ი წ ი ნ კ ა რ შ ი ,

ზ ო მ შ ი შ ე ვ ი ყ ვ ა ნ ს , — დ ა ა დ ე კ ლ ი ტ ე ... ”

„ ა რ ა , დ ა ბ ი ლ ი ! მ ე ა მ ზ ა მ თ ა რ შ ი ,

მ ა გ ა ს მ ს უ ქ ა ნ ი ც ხ ვ ა რ ი მ ო ვ ს ხ ლ ი ტ ე ... ”

— „ მ ა შ თ უ გ ი შ ვ ე ლ ი ს ჩ უ ც ნ ი ტ ე ტ ი ა . ”

„ ვ ა ჯ , თ უ მ დ რ უ ზ ი ს თ ა ვ შ ი კ ე ტ ი ა ! .. .

ი გ ე ც მ ე მ დ უ რ ი ს ო რ ს , ს ა მ ს ც ხ ვ ა რ ზ ე დ ა ...

მ ე ვ ე რ გ ა ვ ი ფ ლ ი მ ა გ ი ს კ ა რ ზ ე დ ა . ”

— „ ა ბ ა დ ე მ ე ტ რ ე ს , ა ნ ს ე ს ი ა ს ა

ს თ ხ ო ვ ე , — ა რ ჰ ნ ა ხ ა ვ მ ა თ თ ა ნ ზ ი ა ნ ს ა , —

ქ ა რ გ ნ ი ა რ ი ა ნ ო რ ი ვ ე ძ მ ა ნ ი . ”

„ ა რ ა , დ ა ბ ი ლ ი , ა მ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე ,

მ ა გ ა თ ი ც ვ ი გ დ ე ე რ თ ი ქ ო ს მ ა ნ ი ; .. . ”

— „ მ ა შ , რ ა ს ა პ ი რ ე ბ გ ა ჭ ი რ ვ ე ბ უ ლ ზ ე ? —

მ ღ ვ დ ე ლ ს მ ა ი ნ ც ს თ ხ ო ვ ე , — კ ა რ გ ი კ ა ც ი ა . . . ”

„ ა მ ზ ა ფ ხ უ ლ ს — გ ი თ ხ რ ა ? — ძ რ ი ე ლ გ შ ი ო დ ა ,

შ ე მ რ ა მ ე ჭ ა მ ა მ ა გ ი ს ვ ა ც ი ა . . . ”

მ ა ს შ ე მ დ ე გ , ჩ ე მ ზ ე დ , უ ვ ე ლ გ ა ნ ჩ ი ო დ ა . . . ”

— „ ნ ე ტ ა ვ ი , ხ ე ლ ა თ , შ ე ნ ჩ ა გ ე რ ბ ი ნ ა

დიაკვნისასათუ გინდა ბინა...“

„შემოღვომაზე—გამიწყრა ლმერთი—

მაგასაც ავკარ ბოჩოლა ერთი!..“

— „მაშ, მითხარ, ვისი არ მოგიპარავს?..“

ზოგიას იცნობ?.. ის დაგიფარავს.“

„ზო... გი... ას?!.. რა ვსოდა... მოვტაცე კრავი!..“

„რა გითხრა, ძმაო,“

აცო და სვავო!..

თვითონ ყოფილხარ ხალხთან პირშავი,

ვიღასგან ელი შემწეობასა?..

მტერს ვინ გაუწევს მეგობრობასა?..

ვხედავ, რომ შენთან არა ვინ სტყუა...“

ჩქუსნს ხალხს ეჭნება იმდენი ჭკუა,

რომ დაგახიონ ზურგზედ ეგ ტყავი!..“

ამ დროს მოცუივდნენ მონადირები,

მგელს დაალეწეს ბრაზი კბილები!..

ეს ზღაპარი კატის და მგლის,

თუ ზნეობას არ შეგვიცვლის,

ამას მაინც დაგვასწავლის:

„ვინც რა სთესა, მას მოიმკის.“

ე ვ ა ვ ი ს ბ ა ხ ა ლ ა.

ციდგან არწივი დაეშო და ბატყანი მოიტაცა,  
მანამ მწყემსი მოუსწრობდა, დანახვა იმას ზეცა...  
ქვევის ბახალამ შავედა, ჩაიცინა, გაიოცა  
და სთქვა: „კლანჭს კი არ გავისერი, ასე მცირე კერძზედ, მეცა!..“

ნათქვამია ძველთაგანა,  
მღაბალხალხში — გლეხთაგანა:  
, მარხვა ვჭამე დოსტვინაო,  
შურდობა ვქენ ხბოსტვინაო! ..

სჩანს სვავებშიც სუსტობს ზოგი,  
რომ თვალწინ ჰყავს ცხვრისა ჯოგი,  
და ვერ არჩევს ბატყანს და ყოჩის,  
მტანება ქორფას და ნორჩის....

აი, მე კი რომ მინდოდეს,  
მწყემსებს დაუყენებ შავს დღეს;  
შევინავარდებ, თუ მსურსა  
და ლუკმას ავკრამ მეფურსა! ..

ამ დროს აფრინდა ჰაერში ყვავი  
და ცხვრებს დასცეკერდა, როგორც რომ სვავი...  
დიდხანს არჩია მან დიდი კერძი,  
ბოლოს შენიშნა მსუქანი ვერძი...  
დაუშო დაბლა ფრთები, კანჭები  
და ცხვრის მატყლს სტაცა მაგრა კლანჭები!

გაება ყვავი, უკუკო და უკუკო  
უკუკო, ბედმავი! ..  
ბევრი იჩხავლა და იფრთხიალა,  
უდროოთ თავი გაიტიალა! ..

მწყემსმა დუქარდი გაუგდო ცხვარსა,  
მატყლი შეართო ყვავს უმეცარსა  
და რადგან იყი ჰბაძავდა სვავსა,  
ორივე ფრთები შეჰკრიჭა ყვავსა! ..  
ხაწყალმა ყვავმა ბევრი იშფოთა,  
მაგრამ ბალლს მისცეს სათამაშოთა! ..

ჩუმნშიაც ჰატარა ქურდი, დიდი პლუტის მისდევს გზასა  
და სადაც დიდი პლუტის გაუვა, იქ ჯიბის ქურდს სთხოიან  
თვალსა!

## მ გ ე ლი დ ა გ უ გ უ ლი.

„მშვიდობით, დაო, მშვიდობით,—მგელი გუგულსა ეუბნებოდა—

მოტყუებული თურმე ვყოფილვარ, აქ მყუდროება მეგულ-  
ვებოდა!..

ძალლით-კაცამდის მე მემღუროდნენ,

მმტრობდნენ და ჩემი სისხლი სწყუროდნენ!..

ანგელოზათაც რომ გადავიქცე,

არ მოიშლიან ცემას, კბენასა,

ამომაძრობენ პირში ენასა,

არც კი მაცლიან საღმე გავიქცე!...“

— „სად მიბრძანდებით თქულუნ ასე ჩქარა?...“

გუგულმა ჰკითხა, ბატონს მგელს წყნარა,

მორიდებითა,

მოწიწებითა.—

„სად მივალ? — რაღა საკითხავია?..“

მე თუ აქ ვიყავ მგელი — სვავია;

რილასთვე დავდგე ამ ქვეყანაში,

საჩოთინებლათ მტრებისა თვალში?!..

მივალ პირ და პირ ბელნიერს ხალხში,

(პლმოსავლეთში,

ან საბერძნეთში),

საღაც ვიცხოვრებ ტყეში, ან სახლში,

საღაც რომ კაცი — ანგელოსია,

ძალლი კრავის ტყავს შეუმოსია;

ძალლმა არ იცის, არამც თუ კბენა,

არც ყეფა!.. მშვიდათ უჭირავს ენა...

მივალ, იქ ვპოებ მყუდროებასა,

ნეტარებასა, სიტკბოებასა!...

სადაც, წყლის ნაცვლად, რე მოჩანჩქარებს,  
წყურებილსა. გიშობს, გულსა ახარებს!..

აქ კი დამფთხვალი მაქვს მუდამ ძილი,  
არამც თუ შემხვდეს მე ლუკმა ტკბილი..

მშვიდობით დაო!....“

— „მშვიდობით! მაგრამ... შენ ჩემო თავო!..

შედავ კბილებიც თან მიგაქვს ძმაო?!..

მაშ ჩვეულებას თავს თუ ანებებ?..

ხასიათსაცა? — მარგათ ინებებ!....“

„ჩვეულობაო?!. არა, ღობილო!....“

— „მაშ, შენ, გახსომდეს, ჩემო ძმობილო:

თუ არ დასტოვებ შენსა ბრაზებსა,

შემოგაშტორევენ ორსავ გაზებსა!..

თუ იქაც იქენ, როგორც აქ, ავი,

შემოგეხევა ეჲ მრეში ტყავი!..

ვინც ხასიათით ცუდია —

ბოროტებისა ბუდეა;

ვინც ჩვეულებით ავია —

მისტკს ყველა პირ შავია!..

იგი მუდამ აღრენს ხახას,

მარგს ვერ ჰედავს, ყველას სძრახავს,

ჟველას კბენა ამას სწყურის,

ლანძლვას ის ვერ მოულლია,

ჟველას თვთონვე ემდურის, —

ვერსად კი ვერ გაუძლია!..

## მაიმუნი და სათვალეები.

*JK*

ერთს მაიმუნს, სიბერის დროს, თვალში დაკლდა ჩინია,  
სწუხს და იძახის: „რათ ვვარგვარ, მაჯობებს მცირე ფინია,  
რა მოვახერხო, არ ვიცი? — ლამის დამებნეს ტვინია,  
მიქებენ სათვალეებსა და ვერსად შამიძინია....”

ზაეგო კიდეც სწორება,  
თუ — ალარ მახსოვს — ჭორათა,

რომ თვალთ სინათლის დაკლება აღამიანშიც ხშირია  
და თუ სათვალეს იშოვის, ბეცობა რაღა ჭირია!..

ადგა და ჩამოითხოვა,  
სათვალეები იშოვა,  
ათიოდ, კარგის მინისა,  
(შამალი თვალის ჩინისა...)

ზოგს იკიდებდა გულზედა,  
ზოგი მოიბა კუდზედა,  
ზოგს ჰსუნაეს, ზოგიერთს ჰლოკავს,  
მაგრამ არ იქნა, საცოდავს,  
არ გაუნათლდა დღეები....

არ იქნა, არ გამოადგა, ამდენი სათვალეები!..

„რა მიზეზია, ნეტავი? —  
— ამას ჩიოდა ბედშავი —  
სათვალეს, ყველა, ძრიელ აღიდებს,  
რაღან ყველაფერს, თურმე აღიდებს;  
მე კი არა ფერს არ მომეხმარა...  
მეყო სიბრიყვე, მოვტყუვდი, კმარა!..“  
ზაჯავრებულმა,  
ზაბრაზებულმა,

გადარეულმა ჩუცნეა, მანჭიამ,

იმ სათვალეებს სტაცია კლანჭია

და ისე რიგათ ანარცხა ქვასა, გაშტერდებოდა სწორეთ კაცია:

მს ამოღენა სათვალეები დაფშხვნა, დალეწა, სულ მტვრათ აქ-  
ცია!..

ზოგიერთთა, ზოგიერთის არ იციან ფასი,

იმათთვის ყველა ერთია კენჭი და ალმასი;

თუთ უმეტრები არიან, ჰლანძლავენ სწავლასა,

სათვალეს უდჟედ იბმენ, ხან ურტყამენ ქვასა!..

jjr

## ს პილო ს ა მ რ ი ს თ ა მ ზ ე.

ჩამომავლობით უინც რომ დიღია  
და ძლიერებაც თუ ხელთ უგდია,  
თუ ჭკვაც არ შესწევს—მოსარიდია,  
თუ გულ-კეთილობს—უფრო ცუდია.

სპილო იჯდა ერისთავათ ერთს უდაბურს ტყეში,  
პამბეჩი კატათ მოჩანდა იმასთან სისქეში,  
ჰკუაზედ კი სუსტი იყო ამოდენა ლეში,  
თუმცა სპილო ჭკვით იქების, ვიცით, თავის დღეში...  
მაგიერში ერისთავი კეთილი რამ ბრძანდებოდა,  
ჰიანჭველას არ გასჭილეტდა, ისე შაებრალებოდა!..

ერთს დღეს ცხვრებმა ერისთავსა,  
ბულწრფელსა და გულმართალსა,  
მოართვეს არზა და საჩივარი,  
თვისი ჩასწერეს მათ სატკივარი:

,, ერისთავო გვიპატრონე, მგლებმა სულმთლად აგვიკლესო,  
ტყავი ალარ შეგვარჩინეს, ბატკნები სულ დაგვიკლესო!...“

ამისმა მსმენმა შეჰყეირა სპილომ:  
— „მაცა, ისინი, როგორ დავზილო  
და მაგალითით სხვაც გავათრთხილო!..  
რაზედა ჰყველეფენ საწყალობლებსა?...  
ან გაცრცვის ნება ვინ მისუა მგლებსა?...  
ამ დროს წარმოსდგნენ მგლები ერთათა  
და მოახსენეს სპილოს ერთხმათა:

,, დიდო ბატონო,  
ჩუმუნო პატრონო!  
თქუცნ არ გიბრძანეთ ქურქათ, ზამთარში,

მობოჭვა, თვთო ტყავისა ცხვარში?...“

მაშინ სპილომა, დიღმა ბატონმა;

წარმოსთქვა წყნარათ, ერის პატრონმა:

— „მაშ რას ჩივიან ეგ სულელები?!..

არა სტყუვიან ამაში მგლები!..

ცხვრებს აუგდიათ, მე ვსედავ, თავი!..

თვთოს შეჰვდება, სულ თვთო ტყავი!..

და ეგეცა ჰშურთ?!..

ახლა კი, თუ გსურთ,

თვთო საქურქე მობოჭეთ, მგლებო!..

(მე ჟორიოტება ძრიელ მძულს, ძმებო!..)

მეტი კი—ბეწვიც არ შეუხაროთ,

თორემ გაესწყრები თქუცნს სამწუხაროთ!..“

პუნდი და ჩათამი.

22

ძუნწი სცდილობს, შეძენასა,—  
ძუნწობით ჰყარგავს ყველასა.—  
მე არ მინდა შემოგვიცოთ,  
მსურს იგავით დაგიმტკიცოთ.

იყო, ვიღაც, ერთი კაცი:  
არც მუშაკი, არც ზარმაცი,  
არც ოცოდა ხელოსნობა,  
არც ვაჭრობის ახლდა ცნობა,  
მაგრამ მისი ზანდუხები,  
განჯინები და ბოხები,  
ფარჩით, ნუზლით, ვერცხლეულით,  
ოქროებით, განძეულით,  
ივსებოდა, ივსებოდა!...  
(ვის არ გაუკვირდებოდა?..)

ივსებოდა ყოველ ლამე,  
მაგრამ, ამდენის პატრონი, კაცი იყო — ძუნწი რამე...  
მსეც შაიტყეს, რით იყო, შემძენი: განძის, ვერცხლისა:—  
თურმე მას ჰყვანდა ქათამი, მდებელი ოქროს კვერცხისა!..  
სხვა კაცი, ვინმე, აშისთვის, ღმერთს შესწირვიდა მაღლობას,  
ძუნწი კი, მისი თვალ-გული, სულ ვერ გაეძლო ამ ძლვნობას!..  
იფიქრა: ქათამს დავკლამო და შიგ ვიპოვი მაღანსო,  
მაშინ ვიცხოვრებ რჯულზედო, მოვკვდები — თან ვინ მატანსო...  
დაკლა ქათამი, კვერცხის მდებელი, ძუნწმა აცქვიტა მარდათ  
ყურები,  
ჭუჭში მაღანი ვერსად უპოვა, დაურჩა მარტო შიგანურები!..

# გუგული და მონაბი.

წყალობა გასცა ორბმა ერთხელა და ბულბულობა მისცა  
გუგულსა,  
ბუგულიც შეჯდა მაღლა ვერხვზელა, გასძახის, მითომ ჰმაძაებს  
ბულბულსა!..

ვინც გაიგონა — შემოეცალნენ,  
ზოგი დასცინის, ზოგნი ჰლანძლავენ!  
ჩუპნმა გუგულმა ძრიელ იწყინა,  
ჩაფიქრდა დიდხანს, ბოლოს იფრინა  
და საჩივლელათ მოვიდა ორბთან... .

„ვერ გამიძლია, მეფევ, მფრინვლებთან  
შენის ბრძანებით, მე ვბულბულობდი,  
შენის ჯილდოთი, მე ვდიდგულობდი,  
ვიძახდი „კუკუ“ და „კათათვესა“ \*)  
დაუცხრომელათ, სულ ყოველდღესა;  
იმათ კი შეჰსკდათ ჩემზედ სიცილი,  
ოკითქოს ქათმისა ვიყო წიწილი!...“  
ამაზედ ორბმა მიუვო გუგულს:  
— „რისთვის იწუხებ, შენ, სულელო, გულს?...  
რომ ვნახე შენი, მე, ერთგულობა,  
მისთვის ვიბოძე, შენ, ბულბულობა;  
მე ვბრძანე მხოლოდ, ვიცნონ ბულბულათ  
და რათ ჩაიმჩნევ, შენ, გულში წყლულათ,  
ბულბულათ რომ ვერ გადაგაჭციო?  
მთელი ქვეყანა რომ დავაჭციო,  
მანც ვერ შევსძლებ, შეუძლებელსა...  
— ღმერთი ხომ არ ვარ? — მეფე ვარ დღესა.

\*) იტყვიან, ფთომც, ზოგჯერ, გუგულის ძახილში ისჭია  
დეს სიტყვა: „კათათვე.“

კატა და გზარეული.

ერთს ლოთს მზარეულს,  
წყურვილ მორეულს  
და მომჩინანსა თავის ბედისას,  
აღაპი ჰქონდა ნათლიდედისა.  
რომ შეასრულოს თავის სურვილი,  
პილეც მოიკლას ღვინის წყურვილი,  
შაბრუნდა იქვე სამიკიტნოში,  
მოსთხოვა კარგი თართისა დოში,  
სთქვა: „ნათლიდედის სულს მოულხენო“  
და გადაუსო კახური ღვინო!

იქ წასვლის დროს კი ყველა მასალა:  
ზქვილი, ნიგოზი, ბრინჯი, არტალა,  
პარფი ვარია, ხარშო წვნიანი,  
(რომ არ მიეცათ თაგვთა ზიანი)  
სულ ჩაბარა შინაურს ციცას...  
ამ საქმეს ციცაც ვერ გადაჰვიცავს...

ორგულობაში,  
მსუნავობაში,  
პატა არ იყო ჯერ შემცნეული  
და რა დაბრუნდა შინ მზვარეული,  
ნეტა იცოდეთ იმან რა ნახა...  
სწორეთ გაშტერდა, დაალო ხახა....  
და ისე თქვენს მტერს გაუხარია,

როგორც მზვარეულს!...  
აღარ ჩანს ქადა,  
(რომელიც დილას მან დაამზადა),

აღარც ვარია!..  
თურმე ყარაულს  
საუზმის ჭამა რომ მოსდომოდა,  
ზადაეთრია ერთი წიწილი,  
(ბატონის წილი)

ძმრის ქოცოს გვერდზედ ამოსჯდომოდა,

შემწვარს წყნარ-წყნარათ ახრამუნებდა

და თან კი ყურებს აბარტყუნებდა!..

რა დაინახა ეს მზვარეულმა,

გაშფოთებულმა, გულამლვრეულმა,

მოსდგა ციცასა ამ სიტყვებითა:

,,მე აღარ ვიყავ შენის ქებითა

და თავვებისა მორიდებითა

შენ ჩაგაბარე სამზვარეულო;

შენ კი, რამიყავ?.. შე .. შე წყეულო!..

არა გრცხვენიან? მსუნავო, ღორო... .

რაზედ დამლუპე, შე ოჯახ ქორო?!...

ჰველა გაქებდა აქამდისინა,

სამაგალითოთ ჰყვანდით თვალწინა,

ახლა კი... ახლა... ბაგიცნეს გვიან...

ან მეზობლები რალას მეტყვიან?..

—,,შენი ციცუნა მსუნავიაო,

ტყუილათ სახლში რას გიგდიაო,

სულაც არ არის, ის საკვებიო,

სახლში არ არის შესაშვებიო!...

რაზედ დამლუპე? რათ შემარცხვინე?

ან მტერი ჩემზედ რათ გააცინე?!!..“

მანამ ჩენი მზვარეული ასე ტკბილათ ქადაგებდა,

პატამ წიწილი გამოხრა, ნელა-ნელა ალაგებდა!

მე რომ ვხედავ ამ საქმეში მზვარეული შესცდა მითა,  
რომ სიმკაცრის მაგიერათ, ქადაგებდა ნაზის ხმითა;

მე რომ მისი ვყოფილვიყავ, ავიღებდი ერთსა კეტსა

და ციცას, საყვედლურის ნაცვლად, მივამტვრევდი ორსავ გვერდსა!..

შ 6 0 ლ ი ბ ა ე რ ი ს ა .

ზღვებმა ლომის სთხოვა ცხვრების ნაცვლობა  
და ესე თხოვნა,  
არ დააყოვნა,

მელიას პირით თურმე აცნობა...

რადგან მგლებზედა, არის ცუდი ხმა,

მათზედ ყოფილა ბევრი ცუდი თქმა,

ბატონმა ლომიმა, ამ საქმეშია,—

საკიცხავსა და გასაქექშია,—

რომ არ აჩვენოს ერს გულგრილობა,—

ბრძანა ერთიან მხეცთა ყრილობა...

შემოკრბენ მხეცნი, მცირე და დიდი,

შველამ უნდა სთქვას, თუ არ არს ფლიდი,

რაცა ჰსმენია მგელზე მას ცუდი,

პარგი, ან ავი,

ან სამართალი ხომ არ აქვს მრუდი?

ან ხომ არ არის ჩუმი ამკრავი?..

უყარეს კენჭი... ამდენს ჯარშია,

არ ამოჰსვლია არც ერთი შავი!...

— და მგელი-სვავი,

მამასახლისათ დასვეს ცხვარშია!..

— ცხვრებმა რალა სთქვეს,

რაცა გაიგეს?

ან კი სად იყვნენ ამ დროებაში?

ან თუ დაესწრნენ, ამ ყრილობაში?..

— არა, ბატონო!.. ის ეულები:

ცხვრები

და თხები,

Ոյ ահ պոտոլան մօწեցոլցօծօ?..

Եյ կո այ Յօտիզո—Հա աս Վոյովիրօծ—Եղենդա ջաճամեցը աս-չցըն  
Հոմ Աքերեցօծ Կմռօծ, ամ Շեմտեցրեցա՞ն, Շուրո և Շուրո Սա-  
կորո ոյո!..

ՑԼԵԿՈՒՏԱԾՈ ԶԱ 0165.

22

Ցլցեմա կարմա Սամարտալ՛ո ցանցը տես, ամանցը ցանցը տես,  
Ամանցը ցանցը տես, ամանցը տես... Ամանցը ցանցը տես,  
Մյուլա ոչը մաշալլատա, Սայմե՛՛ ամթօնեց հյահուս, Բ  
Ամանցը մուսկա մուսկա մուսկա, Կոտեցա մուսկա մուսկա:  
Ռու հա մուսկա, Իուգուր ոյո, Իուտ մուսկա մուսկա մուսկա, Ան  
Ան տես, տացսա Իուտ մարտլուլոնեց, Սերուր ունդա Տոյեան ռհ-  
տաց...

Մուսկա ցլցեմո: ,,Ըոլուտ ագրու, Եյ յատմեծո Ըացութալլու,  
Մակլա ռնու, հայովիրդո, Վեր Ըացելլու մալլո, Բու  
Ցոլոնս ցնաեց, Ջացու մուսկա, Մարտու մուլցեծո Ըացմենուլո!..  
Ոմ Ըամեց կո, Սայատմուտան տես պոտոլա—ց Սոլուցմուլո....“  
Տես Բամուցու, մուսկա:—,,Եյ, Ոմ Ըամեց, մեծոնառ,  
Սայատմունու հա մոնքու, հա ունդա Շեմեծոնառ?..

Ցինդա Ցկուտեց մեթօնելցեմա,  
Ցինդ մուսկարց, Ցինդա մուսկարց,  
Իոմ Եյ ացակուրօծա՞ն,  
Ծոյժս Սայմե՛՛, Ցլութօծա՞ն,  
Արամց Ռու ահ ունաեցուցարտ,

ჭორათაც არ უძრახებერთ

და ტყუილსაც ვერ იტყვიან, თუ გინდა კიდეც დავქრთამო,  
რაღაც სულყველამ იციან, რომ მე სახორცეს არ ვჭამო...."

მელამ რომ ეს მოისმინა,

ამ ნაირათ გააჩინა:

,,ნუ დაუჯერებთ, ნურა ფერს თხასა...

(არ ამოილებს ხომ სწორეთ ხმასა...)

პლუტთა წესია, რომ ჰელართვენ კვალსა!..

საჭმიდვან კი სჩანს, რომ იმ ლამესა,

როცა ქურდობა თხას შესწამესა,

თხა იქ ყოფილა, საქათმოს გვერდზედ

და მაგის ბედზედ,

ხელათ, არა ვინ, არ შეპხვედრია,

რომ სულ გვერდები შემოემტვრია!..

ამასთან ვიცით,

მართლათ და მტკიცეთ,

რომ ქათმის ჯიში გემრიელია

და თხისაგან მათი შეუჭმელობა—ვიტყენ სულ ქვეშა—სწორეთ  
ძნელია!..

ამისთვის ვაჩენა თხა ჩამოიხრჩოს,

(რომ ბოროტება ეგებ მოისპოს,)

ხორცი მიერთოთ: მსაჯულს, მდივანსა,

ტყავი კი—მარტო გლეხს—მომჩივანსა!...!"

გლეხი გადა და გველი.

ერთი ვიღაც გლეხი-კაცი დაჭმევობრდა გველს...  
(იგავს რასმე მოგახსენებთ, დიახ ძველის—ძველს...)

გველი ხომ ჭკვიანი არის, ყველამ ვიცით ესა,

გლეხსაც მოსწონს, ეფერება, ჰუიცავს ამის მზესა!..

მაგრამ ყველა მეზობლები დაეთხოვა გლეხსა,

არც ნათესავნი მისდევენ, მისას არ სდგმენ ფეხსა...;

მაშინ გლეხი მიუბრუნდა და ჰქითხავდა ყველას:

, „რა შეგცოდეთ, რომ მიწყრებით თქუცნ, მე, ამოტელას?..

ხელი რისთვის აიღევით, ჩემზედ, ერთიანათ?..

ნეტა ჩემი პურმარილი, თუ ალარ გიამათ?..

ან ჩემს ცოლს თუ ემდურებით, ვერ დაგიხვდათ წმინდათ,

თავის დროზედ, რიგიანათ, ვერ გაგიმასპინძლდათ?..“

— „არა, ძმაო—უპასუხა, მეზობელმა, ამას:—

, „მასპინძლობა რასა ჰქვიან, ვინ იგონებს ჭამას,

არცა-რა ვის აგონდება, შენგნით, რამე წყენა,

გეფიცები, არა ვსტყუი, მამიჩემის ლხენამ!..

მაგრამ, აბა, შენვე ბრძანე, ვინ მოვა შენთანა?—

ისეთი მეგობარი გყაგს სახლში, კედელთანა, და მის გარეთ არის სულყველა.

ერიდება იმის შხამს და კენენას...“

და იმისავე მიზეზით—შემდეგ, შენსა წყენას...“

გველს ხომ შენ ვერ გამოუცვლი კბილებსა და ენას?!..“

მაიმუნი და სარკე.

მაიმუნმა თავის სახე დაინახა სარკეშია,  
დათვს ტოტი ჰქონა, წასჩურჩულა: „ამ უცნაურს სახეშია,  
თუ სცნობ ვისმე?... ან რასა ჰყავს?— იღმანჭება, იგრიხება,  
მე რომ იმას ვვანდე რითმე, შიშით გული გამისკდება!..  
მაშინვე თავს დავიხრჩობდი სირცეილით და მწუხარებით.  
რომ ესთქვათ, ჩემს ნათლისდედებში, იპოება, ამ გვარები,  
ხუთიოდე... თუ კი გინდა, ჩამოგითვლი თვთო-თვთო!...“  
აქ დათუნას ჩაეცინა და უთხრა მას: „,ის არა სჯობს,  
ნათლისდედების თვლასა, მიუბრუნდე შენს თავს ცოტა....“  
მაგრამ დათუნიას სიტყვამ ჩაიარა ამაოთა!

ამ გვარს მაგალითს ჩუპნ ბევრსა ვხედავთ,  
მაგრამ პირ და პირ თქმას ვერა ვძედავთ...  
შერვინ ცნობილობს თავს ზღაპარშია,  
სხვას კი დასცინის მთელს ამქარშია!  
ზუშინ არ იყო ვანოს ქრომებზედ  
ჟველა ყვიროდა... ამისთანებზედ  
თვთონ ვანო კი თვალს მიშერებოდა  
და გიორგიზე ითითებოდა!..

თ რ ი თ ი ნ ა .

ლომს ახლდა თრია... არ შევალ სჯაში:  
როგორ, რა რიგათ, რა ხელობაში;  
მხოლოდ გვითხრეს კი, რომ მისი ხლება,  
ლომს თურმე მოსწონს და იამება...  
ამისათვის ლომს უნებებია,  
ერთს ურემს კავალს დაპირებია...  
დაპირებია, მაგრამ—სად არი?...  
ჯერ არას აძლევს მხეცთა მთავარი!  
თრია კი, ზოგჯერ, მშიერიც არი...  
მას არ გაელო წყალობის კარი!...  
მაშინ, როდესაც სხვა თრითინები,  
(ჩუცნი თრიისა ძმები და დები),  
დახტიან, ტუჩებს აცმაუნებენ,  
მაკლებსა პლრლნიან, აკნატუნებენ...  
ჩუცნი თრია კი, ფეხს ვერსად გასდგამს,—  
ლომთან იხმობენ საწყალს, იმავ წამს!.

ამ სამსახურში დაბერდა თრია,  
ბევრი იშრომა, ბევრიც ეთრია  
და რაკი, ბატონს, ლომსაც მოსწყინდა,  
სამსახურიდგან გავიდა წმინდათ...  
ერთი ურემი მისცეს კავალი!

სულ მოწეული,  
სულ არჩეული,  
მაგრამ რას უზამს, თრია, საწყალი?—  
მას ალარც ერთი კბილი არ უდგას!—  
რით დამტკრიოს?—ლოკოს, თუ რა ქნას?!,

3658333

ორაგულზედ საჩინარი სამსაჯულოს მოახსენეს...

თურმე წყლები აამოუტა და სხვა თევზებს არ ასცენებს:

ზოგსა სდევნის დაუცხრომლათ, ზოგსა ჰქონდენს და ზოგსა ჰყლაპავს,  
ამ თევზს ვერ ვინ გადაურჩა ჯიშით მოუსვენარს და ავს!...

დაბეჭლების საბუთებიც წარადგინეს დიდის ყოფით,  
მკონი თევზიც სამსჯავროში შაიტანეს დიდის გობით. \*)

შეკრბენ ამის მსაჯულები,

მხეცნი სხვა და სხვა სჯულები:

ორი დავარდნილი ცხენი, ორი თხა და ორიც ვირი;

სამართლისა გასაჩენათ.... საქაებ იყო გასაჭირო.

აქ მოვიდნენ მომჩინენებიც, მომზერალნიც,—შეკრძა ყველა, მამტყუნებლათ, წესისათვის და მდივანათაც დასვეს მელა...

მურმე ძველათ, ორაგული, უგზავნიდა, მელას, თევზებს, მაგრამ ახლა, სამსჯავროში, ვერა ჰნახავთ ქრისტიანს ამღებს

მარც არის აქ სათქმელი? დამნაშავის დანაშაულს,

ველარავინ დაჰურარვილა, ცხადი იყო, ამღვრევდა გულს!.

პლატ იყო მეტი ლონები: შეაყენეს განჩინება,

როგორაც უკავშიროს—დამნაშავეს, მიაყენონ ესე ვნება:

„ჩამოახრჩონ მაღლა ხეზე!“

მაშინ მეღვა ადგა ზეზელ,

Աղօհա տէսո Ծյծոլոր յնա Յա օմ

და მსაჯულებს მოახსენა:

,,ბატონებო, მოისმინეთ!..

დახრჩობა რომ გააჩინეთ,

ეგ სჯობია სულ ყველასა...  
და თუ მომისმენთ მელასა,  
შეედავ რომ ვსოდე: დასარჯელათ  
და პლუტების საგრძნობელათ,—  
დავახრჩოთ!.. მაგრამ, რა გვაჩათ?..  
ასე რომ, დავსცეთ თავს-ზარათ,  
ეს დასჯა ავაზაკებსა!..  
მაშინ, სულყველა გვაქებსა,  
ხმაც გავარდება ხალხშია...  
დავახრჩოთ ჩუპჩ ორაგული,—  
ხეზედ რათ გვსურს ჩამობმული?—  
ჩავაგდოთ ულრმესს წყალშია!..  
— „ძალიან კარგი! — შესძახეს მსაჯულთ—  
კარგი აზრია, ჩუპჩ მოგვედის ჭკვაში!..“  
და ორაგული, — რადგან ყველას სძულთ—  
გადაისროლეს, შეუა წყალში?

## ჭუნია სარდლობლა.

ქალი საქრმოვედ ხშირათ ფიქრობდა...  
(ამითი სარძლო ღმერთს არა ჰყმობდა)

და არც ცოდვაა უმანკო გრძნობა;

ცოდვაა მხოლოდ ამპარტავნობა.—

ამპარტავანი იყო ეს ქალი,

დაწუნებაში არ ჰყვანდა ცალი:

ის დაეძებდა საქრმოს; ლამაზეა,

დიღის კაცის შეიღს, ყმარწეიღს და ნაზეა

დაჯილდოებული

და პატივცემულს,

მამაჯეა, მხნესა,

ჰკვიათს და ბრძენსა...

შველა სიკეთე რომ ჰქონდეს ერთსა,—

აბა, მიბრძანეთ, ვისა აქეს ესა?...

ერთიც გახსომდეთ ამ ქალის კილი:

მაგის ტრფობაში იყვავით ფრთხილი:

ვინიცობაა, რომ შეიყვაროთ,

ეჭვი კი გულში არ გაიტაროთ!..

საოცარია! მაგრამ დახე ბედს:—

შველანი მაინც დასტრფოდნენ ამ მტრედს,

მოჩვეულები,

დარჩვეულები!

მსეც იცოდეთ, საქრმოს რჩევაში,

იმათ კიცვაში, ამორჩევაში,

ეს ქალი იყო დიდი წუნია...  
(ამ თქმით, მგონია არ მიმტყუნია.)

ასე ამბობდა:

(თუ კიდეც ჰერძნობდა)

„რათ ვარგანონო, ეს საქრმოები,  
სხვები ნახონო საცოლოები,  
მაგათში, ამა, რომელს წავყვეო?  
ის არა სჯობსო, ცოცხლათ გავხმეო?!.“  
თკოთოულსა რაცლას სწამობდა  
და ამაყობით ასე ამბობდა:  
„იმას შაპენედეთ, რას უგავს ცხვირი?  
თითქო ებასო ზურნა, ან სტვირი;  
მეორე დატეს ჰერაც და წარბ სქელია,  
მესამე ბრიყობს, ჭკვაზედ თხელია,  
მეოთხეს ჯილდო არა აქვა სულა  
და ამ ქვეყნიდგან კიდეც წასულა,  
მეხუთე, თუმცა ჯვრებით სავსეა,  
მაგრამ მხეცია და უმსგავსია!...  
მეექვსე, თუმცა ჭკვიანი არი,  
მაგრამ სუსტია და ჩამოძჭკნარი...  
ერთია მხოლოდ ტურფა და წყნარი,  
ჭკუა რომ ჰქონდეს, იყოს მდიდარი,  
შევიქმნებოდი მე მისთვის მკვდარი!  
მაგრამ ჯიბეზედ ძრიელ თხლათ არი!...“

არ იქნა, ამ ქალს, ამოდენს ჯარში,  
არავინ მოსდის სრულებით ჭკვაში!  
საცოლოებმა გატრუნეს სული,  
ალარ დადიან, ალარ აქვთ გული...  
ორს წელს სულ ფეხი ამოიკვეთეს...  
მოციქულობა სხვებმა გამართეს:

სულ მდარეებმა,

პატარეებმა...“

„რას მიჰქარავენ! — იძახის ქალი —

აბა, ვინ არის, მაგათი კალი?!.

მაგათ თუ ჰევანდნენ, მე რომ მეტრფოდნენ?

მაგრამ, მეტს სიტყვას, ვერას მეტყოდნენ..

როგორ წავყვები, მაგ უგუნურებს?—

არც კი გავანძრევ მაგათთვის ყურებს!..

თითქოს ვჩქარობდე გათხოვებასა!..

რაზედ დავყვები მაგათს ნებასა?..

რათ შევიზღუდავ მე უფლებასა?..

დღე ვმხიარულობ, ღამე ვისვენებ,

მაშ თავზედ ბატონს, რათ დავიყენებ?!.

უცებ რომ წავყვე ქმარს, რა წესია?—

არც მაძლევს ნებას ჩემი სქესია!...“

ეს ყმაწვილებიც ჩამოუცალნენ,

ამდენს უარზედ, სულ მიიმალნენ!..

მრთს წელს უყურებთ, არ ვინ იღებს ხმას,

მეორე წელსაც, არა ვინა სხანს:

არც მაჭანკალი,

ალარც სხვა ქალი..

შამოგვაბერდა ჩუცნ პატარძალი!..

ზის და სთვლის თავისს ამხანაგებსა...

(ეხალისება, საბრალოს, ესა...)

მრთი გათხოვდა, ერთიც დანიშნეს,

ჩუცნი სარძლო კი სულ დაივიწყეს!..

ჩაფიქრდა ქალი!..

სარკეც მუხთალი,

მოაგონებდა გასათხოვარსა,

რომ მისს შვენებას, დრო წარმავალი,

დაუწყებს ცრცვასა!..

მართლაც, შავხედეთ: მოაკლდა ფერი,

შემდეგ თმაშიაც გაუჩინდა მტერი:

ჭალარა, თეთრი!.. მხიარულება  
გუჯრა გულში... არ ეგულება  
აღარც თვალებში, იმ ცეცხლის აღი,  
რომ სწვამდა ტრფიალთ იმისი ძალი!..

შაპხედეთ ხვედრსა...

ვახ ამ ბეჭა!..

იყო დრო, როცა გარს ეხვეოდნენ,  
თაყვანსა სცემდნენ და ესეოდნენ;  
ახლა კი, ღმერთო, რას ვხედავთ ჩუბნა?!.  
ნეტა ამ დღეში, რამ ჩააყენა?..

— წუნიაობამ და ამაყობამ,

ზოგი კიცხვამა და და ზოგი მტრობამ!

შემდეგ ამისა, ეს ჩუბნი ქალი,  
თუმცა კი გვერდხედ უმზერდა კაცებს,  
(რას სწყრება, ვაჟო, არ ვინ იტაცებს...)  
მაინც სიამით წაპყვა საწყალი,  
ელამსა, კოჭლსა, ყრუს და კუზიანს! —  
და ამაშიაც არ პხედავს ზიანს!

882

5842

